



თბილისის სააპელაციო სასამართლო  
**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**  
საქართველოს სახელით  
კერძო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ

საქმე №28/3105-14

5 სექტემბერი, 2014 წელი  
თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა  
თავმჯდომარე - ხათუნა არევაძე  
მოსამართლეები: ნატალია ნაზლაიძე  
ვანო წიკლაური

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

კერძო საჩივრის ავტორი – ა. ა.  
წარმომადგენელი – ქ. უ.

მოწინააღმდეგე მხარე – ნ. ს.  
წარმომადგენელი – მ. ყ.

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 აპრილის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ

დავის საგანი – ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის ნაწილობრივ გაუქმება

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გამოარკვია:

2014 წლის 28 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხე ნ. ს.-ს მიმართ, სარჩელი აღძრა ა. ა.-ს წარმომადგენელმა ქ. უ.-მ და მოითხოვა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის ნაწილობრივ გაუქმება (ს.ფ. 118-131);

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 აპრილის განჩინებით ა. ა.-ს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 აპრილის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც



ა. ა.-ს მოთხოვნა დაკმაყოფილდა და შეჩერდა ნოტარიუს მ. ლ.-ს მიერ 2014 წლის 12 თებერვალს გაცემული №XXXXXXXXX სააღსრულებო ფურცლის მოქმედება (ს.ფ. 158-161).

აღნიშნული განჩინების მიღებისას სასამართლომ იხელმძღვანელა შემდეგი მოსაზრებებით:

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არსებობს მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების საფუძველი.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით. სარჩელში სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით.

- ამავე კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს მოსარჩელის, მისი წარმომადგენლის, მოპასუხის, მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მათ შორის, მობილურის, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსი. ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, **სარჩელში უნდა აღინიშნოს მოსარჩელის მოთხოვნა. სასამართლო მსჯელობს და გადაწყვეტილებას იღებს სწორედ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში.**

- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აცხადებს შეჯიბრებითობის პრინციპზე. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. სასამართლო შებოჭილია არამართო მხარეთა სასარჩელო მოთხოვნისა თუ შესაგებლის ფარგლებით, არამედ მხარეთა მითითებით, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს.

- სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს არა აქვს უფლება მხარეს მიაკუთვნოს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი ვიდრე ის მოითხოვდა. ამიტომ სასარჩელო მოთხოვნა ჩამოყალიბებული უნდა იქნეს ზუსტად, ნათლად და კონკრეტულად და შესაძლებელი უნდა იყოს მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება. იმ შემთხვევაში თუ სასამართლო აღმოჩნდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ფაქტის წინაშე, მან გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში. სასარჩელო მოთხოვნა კი უნდა იყოს აღსრულებადი, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელი არ უნდა შეეშალოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას.



- მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: „ნაწილობრივ გაუქმდეს ნოტარიუს მ. ლ.-ს მიერ გაცემული 12.02.2014 წელს გაცემულ იქნა №XXXXXXXXX სააღსრულებო ფურცელი ძირითადი თანხის 2800 აშშ დოლარის ნაწილში და ასევე შემცირდეს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო“. პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებით, სასარჩელო მოთხოვნა არის ბუნდოვანი, კერძოდ, არ არის დაკონკრეტებული რა ოდენობით ითხოვს მოსარჩელე შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირებას და ასეთი მოთხოვნის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი იქნება. შესაბამისად მოსარჩელის მხრიდან სასარჩელო მოთხოვნა საჭიროებს დაზუსტებას.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლე გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინება ჩაბარდება მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შემოტანილი დოკუმენტები.

- ამდენად, სასამართლოს შეფასებით, ზემოაღნიშნული სარჩელი არ პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, რაც ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველია; შესაბამისად, მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე და განემარტა, რომ მითითებული საფუძველით სარჩელის მიღებაზე უარი ხელს არ უშლის მას განმეორებით მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით თუ აღმოფხვრილი იქნება დაშვებული ხარვეზი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

- სასამართლოს მიერ გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 აპრილის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება.

**ზემოაღნიშნულ განჩინებაზე თბილისის საქალაქო სასამართლოში კერძო საჩივარი (ს.ფ. 170-171) წარადგინა ა. ა.-ს წარმომადგენელმა - ქ. უ.-მ და მოთხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი დასაბუთებით:**

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ სასამართლოს შეუძლია შეცვალოს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო; პირგასამტეხლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება. შესაბამისად, პირგასამტეხლო უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული ოდენობის.

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირების მოთხოვნისას სარჩელის წარმოებაში მიიღება პირგასამტეხლოს შესამცირებელი ოდენობის მითითების გარეშე, რადგანაც კონკრეტული დავიდან გამომდინარე, აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება არის სასამართლოს უფლებამოსილება და არა ვალდებულება.



სააპელაციო სასამართლომ განიხილა ა. ა.-ს კერძო საჩივარი და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს; შესაბამისად, უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 აპრილის განჩინება და სარჩელი დასაშვებობის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 372-ე მუხლით საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ემყარება იმ გარემოებას, რომ **სასარჩელო მოთხოვნა ბუნდოვანია, კერძოდ, არ არის დაკონკრეტებული რა ოდენობით ითხოვს მოსარჩელე შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირებას.**

სააპელაციო სასამართლო, საქმის მასალებში წარმოდგენილი სასარჩელო განცხადების მიხედვით მიუთითებს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, **მოსარჩელის მოთხოვნაა:** „ნაწილობრივ გაუქმდეს ნოტარიუს მ. ლ.-ს მიერ გაცემული 12.02.2014 წელს გაცემულ იქნა №XXXXXXXXX სააღსრულებო ფურცელი ძირითადი თანხის 2800 აშშ დოლარის ნაწილში და ასევე შემცირდეს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო“;

წარმოდგენილი მასალების გაცნობის შედეგად სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული; რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე, სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. ამდენად, **სასამართლო უფლებამოსილია კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეამციროს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული არაგონივრული, შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. აღნიშნული ნორმის მიზანია ის, რომ მხარეთა მიერ განსაზღვრული პირგასამტეხლო არ იქცეს მოვალის დასჯის მექანიზმად და არ დაკარგოს მისი, როგორც ვალდებულების დარღვევის პრევენციის დანიშნულება. მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულობის შეფასებისას სასამართლო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ითვალისწინებს როგორც ვალდებულების დარღვევის**



ხასიათს, ასევე დაკისრებული თანხის მოცულობას, დარღვევის პერიოდსა და სხვა გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასარჩელო განცხადებაში მხარის მიერ პირგასამტეხლოს შემცირების შესახებ მოთხოვნის ნაწილში კონკრეტული თანხის ოდენობის მიუთითებლობა, არ შეიძლება გახდეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი, რადგან, როგორც აღინიშნა, საკითხს იმის თაობაზე, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეუსაბამოდ მაღალია თუ არა პირგასამტეხლო, ექვემდებარება თუ არა იგი შემცირებას და კონკრეტული დავის მიხედვით, ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, როგორ უნდა განისაზღვროს მისი ოდენობა, საბოლოოდ აფასებს და წყვეტს სასამართლო;

დასახელებული გარემოებების და მსჯელობის გათვალისწინებით, სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელეს არასწორად უთხრა უარი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და სარჩელი დასაშვებობის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 419-420-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

1. ა. ა.-ს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 აპრილის განჩინება და სარჩელი დასაშვებობის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

თავმჯდომარე: /ხათუნა არევაძე/

მოსამართლეები: /ნატალია ნაზღაიძე/

/ვანო წიკლაური/